

# საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია

## საქართველოს მთავრობის დოკუმენტი

2008 წლის 21 სექტემბერი

თბილისი

---

საქართველოს მთავრობა იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობასა და ჟურნალისტებს, რათა გადაამოწმონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია

---

### დოკუმენტის მიზანი

---

საქართველოში განხორციელებული აგრესიის გამართლების მიზნით, რუსეთი ამტკიცებდა, რომ მისი ძალები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ცხინვალზე „მოულოდნელი ქართული თავდასხმის“ შემდეგ შეიჭრნენ.

მოცემული ქრონოლოგიიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალის რეგიონისკენ დაიძრნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სეპარატისტების მიერ ქართული სოფლების რამდენიმე დღიანი ინტენსიური საარტილერიო დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, და როდესაც დადასტურდა, რომ რუსეთის სახმელეთო ნაწილებმა როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოჭრა დაიწყეს.

ეს იყო თვეების განმავლობაში რუსეთის მიერ დეტალური დაგეგმარების კულმინაცია; 40 000 რუსი ჯარისკაცი სწრაფად ახორციელებდა საქართველოს ოკუპაციას ერთდროულად სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო თავდასხმების მეშვეობით, რუსეთის რეგულარულმა არმიამ დაიწყო წინასწარ მოფიქრებული სტრატეგიის განხორციელება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა რუსეთის მიერ „საკუთარი მოქალაქეების“ დაცვასთან ცხინვალის რეგიონში.

ეს დოკუმენტი შედგება შემდეგი სამი ნაწილისგან:

- I. რუსული ესკალაცია 2004 – 2008 წლებში: საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა აგრესიამდე**
- II. რუსეთის აგრესიის ძირითადი ნიშანსვებები.**
- III. რუსეთის აგრესიის დეტალური ქრონოლოგია.**

## I. რუსული ესკალაცია 2004 – 2008 წლებში: საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა აგრესიამდე

- **რუსეთის მიერ არაერთხელ უარყოფილი საქართველოს სამშვიდობო წინადადებები:** 2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა მუდმივად გამოდიოდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებთან დაკავშირებით რეალური სამშვიდობო პროცესის დაწყების ინიციატივით. რამდენიმეწლიანი უძრავობის შედეგად, ორივე კონფლიქტის ზონა თანდათანობით იცლებოდა მოსახლეობისგან, დარჩენილი მოსახლეობის უფლებები კი ფეხქვეშ ითელებოდა; ხორციელდებოდა ქართველების დევნა ეთნიკური ნიშნით. რუსეთი და სეპარატისტ მარიონეტული რეჟიმები მუდმივად უარყოფდნენ სამშვიდობო წინადადებებს – მაშინაც კი, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერდა სამშვიდობო ინიციატივებს. შედეგად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონები მწვავე კრიმინალური ქმედებების, მათ შორის ადამიანის გატაცებების, გამოძალვის, ფულის გაყალბების, იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდის ნავსაყუდელად ან თავშესაფრებად იქცნენ. დადასტურებულ იქნა ბირთვული კონტრაბანდის სულ მცირე 1 შემთხვევა (დანართი 1).
- **რუსეთი კონტროლს აძლიერებს სეპარატისტულ რეჟიმებზე 2005 წლიდან მოყოლებული,** მოსკოვი სულ უფრო და უფრო აძლიერებს კონტროლს სეპარატისტულ რეჟიმებზე; რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ოფიციალური პირები მასიურად ინიშნებიან საკვანძო თანამდებობებზე (დანართი 2).
- **რუსეთი ცხინვალის მახლობლად უკანონო სამხედრო ბაზას აშენებს:** 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთმა უკანონო სამხედრო ბაზა ააშენა სტრატეგიული მდებარეობის ქალაქ ჯავაში (ცხინვალის ჩრდილოეთით). ბაზა 2 500 ჯარისკაცზეა გათვლილი და მოიცავს ტანკებისა და სხვა ჯავშანტრანსპორტის საწვავის შემნახველ მნიშვნელოვან საშუალებებს.
- **მოსკოვის გამოდის დსთ-ს იარაღის/ეკონომიკური ემბარგოს რეჟიმიდან (2008 წლის 6 მარტი):** რუსეთი ცალმხრივად და უკანონოდ გამოვიდა დსთ-ს მიერ აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონისთვის 1996 წელს დაწესებული იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს რეჟიმიდან.
- **საერთაშორისო თანამეგობრობა გმობს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებთან პირდაპირი სამართლებრივი კავშირების დამყარებას (2008 წლის 16 აპრილი):** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან სამართლებრივი კავშირების დამყარების შესახებ ბრძანებულების გამოცემით რუსეთმა მოახდინა დაძაბულობის მწვავე ესკალაცია; ეს არის საქართველოს ტერიტორიის დე ფაქტო ანექსიის ფორმა, რამაც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის ევროკავშირის, აშშ-ს, ეუთო-სა და სხვების მხრიდან დაგმობა დაიმსახურა. მათ რუსეთს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გაუქმებისაკენ მოუწოდეს.
- **გაერო ადასტურებს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უპილოტო ქართული საფრენი აპარატის ჩამოგდებას (2008 წლის 20 აპრილი):** რუსეთის

სამხედრო ავიაგამანადგურებელი ავღებს საქართველოს შსს კუთვნილ უპილოტო საფრენ აპარატს საქართველოს საჰაერო სივრცეში (განმუხურის მახლობლად). აგრესიის ეს აქტი, საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიისა და ეუთო-ს საგამოძიებო მოხსენებებით იქნა დადასტურებული. (დანართი 3).

- **რუსეთი აფხაზეთში ზრდის ჯარისკაცების რაოდენობას და შეჰყავს სადესანტო ნაწილები (2008 წლის მაისი/ივნისი):** რუსეთი აგრძელებს აფხაზეთში თავისი სამხედრო ძალების რაოდენობის ცალმხრივად უკანონო გაზრდას და არ ასრულებს სამართლებრივ ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, ძალების როტაციასა თუ გაზრდაზე მას საქართველოს თანხმობა უნდა მიეღო; მას რეგიონში შეჰყავს სადესანტო ნაწილები, რაც არ შეესაბამება სამშვიდობო ოპერაციების არსებულ ფორმატს.
- **რუსეთს აფხაზეთში უკანონოდ შეაქვს მძიმე შეიარაღება და შეჰყავს მოიერიშე ძალები (2008 წლის მაისი/ივნისი):** ყველა სამშვიდობო ნორმებისა და შეთანხმების პირდაპირი დარღვევით, რუსეთს აფხაზეთში შეჰყავს დამატებითი მოიერიშე ძალები და შეაქვს მძიმე შეიარაღება. ეს ფაქტი დამოწმებულია საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მიერ.
- **აგრესიამდე აფხაზეთში აგზავნიან რუსეთის სარკინიგზო ძალებს რკინიგზის შესაკეთებლად (2008 წლის 26 მაისი):** რუსეთის თავდაცვის სამინისტრო „სარკინიგზო ჯარის“ 400-ზე მეტ წარმომადგენელს აგზავნის აფხაზეთში, რათა აღადგინოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა სამხედრო ქმედებისთვის; ეს ჯარისკაცები არცერთ სამშვიდობო დანაყოფში არ შედიან.
- **სამშვიდობო გეგმის გააქტიურების ფონზე, რუსეთის პროვოკაციები სამხრეთ ოსეთის რეგიონისკენ ინაცვლებს (2008 წლის ივლისი):** საქართველოს და საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობებით აფხაზეთისთვის სამშვიდობო წინადადებების გააქტიურების ფონზე, რუსეთის პროვოკაციების სამიზნე მოულოდნელად სამხრეთ ოსეთის რეგიონისკენ ინაცვლებს.
- **სეპარატისტები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ლიდერის მოკვლას ცდილობენ (2008 წლის 3 ივლისი):** სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის მოკვლა სცადეს; სამი პოლიციელი დაშავდა.
- **რუსეთი უტიფრად აღიარებს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევას (2008 წლის 10 ივლისი):** 9 ივლისს საქართველოში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კრაისის ჩამოსვლის წინა დღეს, 4 რუსული სამხედრო თვითმფრინავი არღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს. მართალია, რუსეთი მუდმივად არღვევს საქართველოს საჰაერო სივრცეს, მაგრამ ამჯერად პირველად ხდება, რომ მოსკოვი აღიარებს ამ ქმედების წინასწარგანზრახულად ჩადენას.
- **რუსეთი ატარებს ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებთან (2008 წლის ივლისი - აგვისტო):** რუსეთი, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის უშუალო სიახლოვეს იწყებს ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს სახელწოდებით „კავკასია 2008“ (15 ივლისი-2 აგვისტო). რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, რომ წვრთნები, რომლებშიც მონაწილეობას იღებს 8000 ჯარისკაცი და 700 ერთეული სამხედრო ტექნიკა, მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ

ოსეთში „მშვიდობისათვის იძულების სპეციალური ოპერაციებისთვის“ მზადებას. წვრთნების დროს, პრესის მონაცემებით, გავრცელდა ანტიქართული პროკლამაციები სახელწოდებით - „ჯარისკაცო, იცნობდე შენს შესაძლო მტერს“.

- **რუსეთის საჯარისო დანაყოფები საწყის პოზიციებზე არ ბრუნდებიან (2008 წლის 2 აგვისტო):** რუსეთის საჯარისო დანაყოფები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ წვრთნებში „კავკასია 2008“, მათი დასრულების შემდეგ არ უბრუნდებიან მუდმივი დისლოკაციის ადგილებს.
- **სეპარატისტები უარყოფენ გერმანიის შუამავლობით შემუშავებულ სამშვიდობო გეგმას (2008 წლის 18 ივლისი):** სეპარატისტები უარყოფენ გერმანიის შუამავლობით შემუშავებულ სამშვიდობო გეგმას აფხაზეთის შესახებ და ბერლინში დაგეგმილ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ.
- **ევროკავშირი სამშვიდობო მოლაპარაკებების ორგანიზებას ცდილობს, რომელსაც სეპარატისტები არ ესწრებიან (2008 წლის 22-24 ივლისი):** ევროკავშირი ცდილობს მოლაპარაკებების გამართვას ბრიუსელში სამხრეთ ოსეთის რეგიონის, საქართველოს მთავრობისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებისა და რფ-ს მონაწილეობით. სეპარატისტები უარს აცხადებენ მონაწილეობის მიღებაზე, თავდაპირველად მიზეზად ისინი ასახელებენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრიეს თემურ იაკობაშვილის თანამდებობის სახელწოდებას. ამ საბაბის გასანეიტრალებლად, ბატონ იაკობაშვილს ენიჭება პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილება. სეპარატისტები კიდევ ერთხელ აცხადებენ უარს მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე, ამჯერად მიზეზების დაუსახელებლად.
- **ეუთო სამშვიდობო მოლაპარაკებების შეთავაზებით გამოდის, სეპარატისტები ამ ინიციატივასაც უარყოფენ (2008 წლის ივლისის ბოლო):** ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ სტუბი ჰელსინკიში, აგვისტოს დასაწყისში სეპარატისტებსა და საქართველოს მთავრობას შორის მოლაპარაკებების გამართვის ინიციატივით გამოდის. სეპარატისტებმა ეს შეთავაზება უარყვეს.

## II. რუსეთის აგრესიის ძირითადი ნიშანსვეტები.

---

- **3 ივლისი:** საქართველოში რუსეთის აგრესიამდე 1 თვით ადრე, სეპარატისტები ცდილობენ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის მოკვლას. გზის პირას დამონტაჟებული დისტანციურად მართვადი ბომბი იმ დროს აფეთქდა, როდესაც ბატონი სანაკოევის კორტეჟმა ჩაიარა. ბატონი სანაკოევის თანხმლები 3 პოლიციელი დაიჭრა. ბატონმა სანაკოევმა - სეპარატისტული მთავრობის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა – 2006 წელს დადო იარაღი, რათა ხელი შეეწყო ფართო ავტონომიის პირობებში რეგიონის დანარჩენ ქვეყანასთან მშვიდობიანი რეინტეგრაციისათვის. ბატონი სანაკოევი დემოკრატიული არჩევნების შედეგად იქნა არჩეული და იგი რეგიონის ტერიტორიის 50%-ის ადმინისტრირებას ახდენდა.

- **29 ივლისი:** სეპარატისტთა უკანონო ბანდშენაერთებმა დაიწყეს საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი ეთნიკურად შერეული სოფლების, მათ შორის იმ სოფლების, სადაც ქართველი სამშვიდობოებს საგუშაგოები იყო განლაგებული, არსებული შეთანხმებებით აკრძალული მსხვილკალიბრიანი (82 მმ-ზე მეტი) არტილერიით დაბომბვა. ეს ფაქტი დაფიქსირებულია რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ ხელმძღვანელის გენერალ მარატ კულახმეტოვის მიერ 4 აგვისტოს წერილში (ის კონკრეტულად მიუთითებს 1 და 2 აგვისტოს საქართველოს კონტროლს ქვეშ მყოფი სოფლების მსხვილკალიბრიანი არტილერიით დაბომბვის ფაქტებს). ასეთი დაბომბვები რეგულარულად გრძელდება 7 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოში რუსეთის რეგულარული ნაწილების შემოჭრამდე.
- **1 აგვისტო:** პიკაპის ტიპის ავტომობილი, რომელშიც საქართველოს შსს-ს 6 პოლიციელი იმყოფებოდა, ერედვი-ხეთის შემოვლით გზაზე, ცხინვალის ჩრდილოეთით აფეთქებული იქნა დისტანციური მართვის მოწყობილობით. 5 პოლიციელი მძიმედ დაიჭრა.
- **3 აგვისტო:** რუსეთის მედია იტყობინება ჩრდილოეთ კავკასიის გასწვრივ მოხალისეთა ფართომასშტაბიან მობილიზაციასა და კაზაკთა განცხადებებზე საჭიროების შემთხვევაში საქართველოში მათი შესვლის შესაძლებლობის შესახებ.
- **4 აგვისტო:** სეპარატისტები ცხინვალიდან და სოფლებიდან სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციას აცხადებენ.
- **5 და 7 აგვისტო:** პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით, სპეციალური წარმომადგენელი თემურ იაკობაშვილი ორჯერ უშედეგოდ ცდილობს სეპარატისტებთან შეხვედრას.
- **7 აგვისტო:** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი იური პოპოვი ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით წინასწარ შეთანხმებულ მოლაპარაკებებში მედიატორობას ვერ ახერხებს, ამის მიზეზად სეპარატისტების უარს ასახელებს, ამ დროს კი საქართველოს მთავრობის კონტროლს ქვეშ მყოფი სოფლების არტილერიული დაბომბვა გრძელდება.
- გენერალი კულახმეტოვი, სპეციალურ წარმომადგენელ თემურ იაკობაშვილთან ცხინვალში გამართული შეხვედრის დროს აცხადებს, რომ მას არ შეუძლია კონტაქტის დამყარება სეპარატისტებთან და რომ რუს „სამშვიდობოებს“ არ შეუძლიათ სეპარატისტული თავდასხმების შეჩერება; გენერალი კულახმეტოვი აღიარებს, რომ სეპარატისტები ისროდნენ რუსული „სამშვიდობო“ საგუშაგოების სიახლოვიდან.
- სეპარატისტების მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად ქართველ სამშვიდობოებსა და სამოქალაქო პირებს შორის მსხვერპლის მიუხედავად, პრეზიდენტი სააკაშვილი

დაუყონებლივ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბრძანებს გასცემს და ცხინვალს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. ის კვლავ ადასტურებს მთავრობის ინიციატივას რეგიონისთვის ფართო, „ევროპული სტანდარტის“ ავტონომიის მინიჭების შესახებ და რუსეთს ამ ინიციატივის გარანტიორად ყოფნას სთავაზობს. პრეზიდენტი სააკაშვილი ასევე უპირობო ამნისტიას აცხადებს იმ სეპარატისტებისთვის, რომლებიც ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდებიან.

- მიუხედავად პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტისა, სეპარატისტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლებისა და ქართული სამშვიდობო პოსტების საარტილერიო დაბომბვა.
- დილის 3:41 და 3:52 საათზე საქართველოს დაზვერვამ მოიპოვა როკის გვირაბის სამხრეთ გამოსასვლელთან განლაგებული სეპარატისტების სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლის ორი სატელეფონო საუბარი.

აღნიშნული სატელეფონო საუბრები აჩვენებენ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრშეტევამდე სულ მცირე 20 საათით ადრე როკის გვირაბის გავლით შემოვიდა რუსული შეიარაღებული ძალების კოლონა (დანართი 17).

საქართველოს მთავრობამ აღნიშნული სატელეფონო საუბრის ჩანაწერები ამერიკულ და ევროპულ სადაზვერვო სამსახურებს მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთს ეჭვი არ გამოუთქვამს აღნიშნული საუბრების აუთენტურობაში. რუსეთის ახსნა, რომ ეს საუბრები შეეხებოდა სამშვიდობო ძალებში მიმდინარე როტაციას, არ შეესაბამება სიმართლეს. იმ დროისთვის მოქმედი სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით, ნებისმიერი როტაცია უნდა მომხდარიყო დღის საათების განმავლობაში და ყველა შესაბამისი მხარის (საქართველოს მთავრობა, ეუთო) ერთი თვით ადრე გაფრთხილებით. რუსი “სამშვიდობოების” წინა როტაცია 2008 წლის მაისში მოხდა.

აღნიშნული საუბრების გამოქვეყნებამდე, რუსულ მხარეს არ უხსენებია არანაირი 7 აგვისტოს როტაცია (მაგალითად, მათ მიერ მომზადებულ მოვლენათა ქრონოლოგიაში, საჯარო მონაცემებში ან განცხადებებში) და ის ამტკიცებდა, რომ მისი ჯარები საქართველოში მხოლოდ 8 აგვისტოს ნაშუადღევს შევიდნენ.

სატელეფონო საუბრებიდან მიღებული ინფორმაცია მტკიცდება სხვა წყაროებიდანაც, მათ შორის რუსი სამხედროების მიერ 7 აგვისტოს მოვლენების მოგონებებში, აგრეთვე სოხუმელ სეპარატისტთა ლიდერ სერგეი ბალაფშის მიერ იმავე 7 აგვისტოს გაკეთებული განცხადებებით. აღნიშნული ცნობები გამოჩნდა როგორც რუსულ, ასევე დასავლურ მედიაშიც (დანართი 17).

ამასთან ერთად, დაახლოებით 23:30 საათზე, რუსეთის რეგულარული არმიის დაახლოებით 150 ჯავშანტრანსპორტიორი და სამხედრო სატვირთო ავტომანქანა როკის გვირაბის გავლით ცხინვალისკენ გამოემართა. საქართველოს

ტერიტორიაზე რუსული შეიარაღებული ძალების შესვლის საპასუხოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალები შედიან კონფლიქტის ზონაში.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ მიხედვით, დასავლურმა სამსახურებმა დამოუკიდებლად აღმოაჩინეს, რომ რუსეთის 58-ე არმიის, 135-ე დივიზიის ორმა ბატალიონმა გაიარა როკის გვირაბი 7 აგვისტოს ღამეს ან 8 აგვისტოს დილას (დანართი 17).

ომის ქრონოლოგიის რუსული ვერსიის მიხედვით, მისი ძალები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ცხინვალზე „მოულოდნელი ქართული თავდასხმის“ შემდეგ შევიდნენ.

- **8 აგვისტო:** რუსეთის თავდაცვის სამინისტრო და სხვადასხვა მაღალჩინოსნები ამტკიცებენ, რომ ქართული ძალების მიერ ცხინვალში „2000 სამოქალაქო პირი იქნა მოკლული“.
- **11 აგვისტო:** „Human Rights Watch“-ის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რუსეთმა მიზანმიმართულად გააზვიადა ცხინვალში მსხვერპლის რაოდენობა, რამაც, შესაძლოა განაპირობა ქართველების მიმართ ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები (დანართი 4).
- **21 აგვისტო:** რუსეთის ფედერაციის გენპროკურატურამ ცხინვალში დაღუპულთა რაოდენობის მნიშვნელოვნად დაბალი რიცხვი გამოაქვეყნა - 133 დაღუპული. ამასთან დიდია იმის ალბათობა, რომ მათი დიდი ნაწილი უკანონო ბანდფორმირებების წევრები არიან, რადგან რუსეთის ოფიციალური პირები ხშირად “სამოქალაქო პირებად” მოიხსენიებენ არარუს შეიარაღებულ პირებს. (დანართი 5 და 6).
- **9-24 აგვისტო:** საქართველოს შეიარაღებული ძალების უკანდახვევისა და თბილისისკენ დაძვრის შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და უკანონო ბანდფორმირებებმა კონფლიქტის ზონაში და მის ფარგლებს გარეთ განახორციელეს სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი ქმედებები, მათ შორის გადაწვა, დარბევა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება და მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობები. კონფლიქტის ზონაში სოფლები – ერედვი, ავნევი, ნული, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, კეხვი, დისევი და ა.შ. მიზანმიმართულად გადამწვეს და გაანადგურეს, რამაც განაპირობა ქართველების ეთნიკური წმენდა. ამ ფაქტების უმრავლესობა დადასტურებულია ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებებში (დანართი 7).

### III. დეტალური ქრონოლოგია

---

**28 ივლისი:** სეპარატისტთა უკანონო ბანდფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს შერეულ სამშვიდობო ძალებს და ეუთო-ს სადამკვირვებლო ჯგუფს, რომელიც

სოფელ ჩორბაულის (ზნაურის რაიონი) მიმართულებით გადაადგილდებოდა, რის შედეგადაც ხელი შეუშალეს სადამკვირვებლო საქმიანობის განხორციელებას.

**29 ივლისი:** სეპარატისტები ცეცხლს უხსნიან ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად სოფლებს. ისინი ცეცხლს უხსნიან შერეულ სამშვიდობო ძალებთან მომუშავე ეუთო-ს დამკვირვებლებს, რომლებიც სოფელ ანძისისკენ გადაადგილდებიან (დანართი 8). 120 მმ-იანი ნაღმტყორცნებისა და ყუმბარმტყორცნების სამიზნეს წარმოადგენს სოფელი სარაბუკის მახლობლად განთავსებულ ქართული სამშვიდობო საგუშაგო.

**30 ივლისი:** საქართველოს შსს მანქანას, რომელიც სოფელ კეხვსა და სოფელ სვერს შორის გადაადგილდებოდა, ცეცხლს უხსნიან უკანონო ბანდფორმირებების მიერ კონტროლირებად სოფელ ანძისში განთავსებული პოზიციებიდან.

**31 ივლისი:** შერეული სამშვიდობო ძალების სადამკვირვებლო ჯგუფი და ეუთო-ს მისია აკვირდებიან უკანონო ბანდფორმირებების მიერ ცხინვალსა და სოფელ ერგნეთს შორის ორ საგუშაგოზე განხორციელებულ ფართომასშტაბიან საფორტიფიკაციო სამუშაოებს.

**1 აგვისტო:** ცხინვალის ჩრდილოეთით, პიკაპის ტიპის ავტომობილი, რომელშიც საქართველოს შსს 6 ოფიცერი იმყოფებოდა, აფეთქებულ იქნა დისტანციური მართვის ასაფეთქებელი 2 მოწყობილობით. 5 პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. იმავე დღეს, უკანონო ბანდფორმირებები ავტომატებიდან და ყუმბარმტყორცნიდან ცეცხლს უხსნიან სოფლებს – ქვემო ნიქოზს, ზემო ნიქოზს, ავნევს, ერგნეთსა და ერედვს. თავდასხმები ასევე მიმართულია პოლიციისა და სამშვიდობო ძალების საგუშაგოებისკენ. სოფელ ნულში ერთი ადამიანი დაჭრილია და 7 სახლი დაზიანებული. თავდასხმა ხორციელდება სოფელ სარაბუკთან განთავსებულ ქართულ სამშვიდობო საგუშაგოზე, ერთი ადამიანი დაჭრილია და 2 სახლი დაზიანებული. სეპარატისტების ინფორმაციით, უკანონო ბანდფორმირებების 6 წევრი მოკლულ იქნა და 12 დაიჭრა მას შემდეგ, რაც პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა.

**2 აგვისტო:** 6 სამოქალაქო პირი და საქართველოს შსს-ს 1 თანამშრომელი დაიჭრა უკანონო ბანდფორმირებების მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად. სოფლები – ზემო და ქვემო ნიქოზი, ნული, ავნევი, ერედვი და ერგნეთი ინტენსიურად იბომბებოდა მსხვილკალიბრიანი ნაღმტყორცნიდან. ქართველმა სამართალდამცავებმა, თავდაპირველად თავდაცვის მიზნით, საპასუხო ცეცხლი გახსნეს, მაგრამ მალე მათ უბრძანეს ცეცხლის შეწყვეტა, რათა არ მომხდარიყო სიტუაციის ესკალაცია.

**3 აგვისტო:** სეპარატისტები იწყებენ ცხინვალიდან და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი სოფლებიდან სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციას. ევაკუაცია გრძელდება მომდევნო 2 დღის განმავლობაში.

რუსული მედიასაშუალებები იწყებენ მასიურ პროპაგანდისტულ კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ, მოუწოდებენ სეპარატისტების მხარდასაჭერად დაქირავებულების მობილიზაციისკენ. უმთავრესი რუსული სატელევიზიო არხების (NTV, RTR, ORT, RenTV, TVC, და ა.შ.) წარმომადგენლები ცხინვალში იმყოფებიან.

ცხინვალის მედია ავრცელებს განცხადებებს ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებულების მობილიზაციის შესახებ

**4 აგვისტო:** გენერალი კულახმეტოვი, „სამშვიდობო ძალების“ სარდალი ოფიციალურად ადასტურებს ქართული პოზიციების დაცხრილვას არალეგალური მსხვილკალიბრიანი არტილერიით (დანართი 9). საქართველოს შსს მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციით 4 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის რეგიონში შევიდა რფ 58-ე არმიის სამედიცინო და საკომუნიკაციო დანაყოფები.

საქართველოს შსს-ს სადაზვერვო ინფორმაციის მიხედვით ჯავიდან ცხინვალის ახლომდებარე სოფელებში არძნისი, ძარა, ცრუში დისლოცირებულ იქნა სეპარატისტთა კუთვნილებაში მყოფი 11 საარტილერიო დანადგარი 2S1-“Gvozdika”.

**5 აგვისტო:** ვრცელდება ინფორმაცია სოფელ ანევისკენ უკანონო ბანდფორმირებების წევრებით დატვირთული 3 ტანკისა და 2 სამხედრო ბორტიანი მანქანის გადაადგილების შესახებ. მოპოვებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერების მიხედვით, სეპარატისტების “შსს მინისტრი” მ. მინდავეი (წარსულში რფ ჩრდილოთ ოსეთის შსს გაერთიანებული შტაბის მეთაური და ბესლანის ოპერაციაში მონაწილე რფ სპეცდანიშნულების ძალების მეთაური) იძლევა ბრძანებას სოფელ დვანის მიმართულებით მასირებული შეტევის განხორციელებისა და სოფლის განადგურების შესახებ\*.

სპეციალური წარმომადგენელი თემურ იაკობაშვილი ჩადის კონფლიქტის ზონაში და ხვდება გენერალ კულახმეტოვს რათა ვითარების განმუხტვის მიზნით შეთანხმდეს 7 აგვისტოს შეხვედრის ჩატარებაზე.

ფრანგული გაზეთის Le Figaro-ის ჟურნალისტი ლორა მანდვეილს (Laure Mandeville) მოგვიანებით მოჰყავს გორში რუსი ჯარისკაცის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოძრაობა, შალიდან ჩეჩნეთი საქართველოს მიმართულებით 5 აგვისტოს დაიწყეს.

**6 აგვისტო:** ცხინვალის ტელევიზიის ინფორმაციით ჩრდილოეთ კავკასიიდან ცხინვალში დაახლოებით 150 მოხალისე ჩავიდა. ადგილობრივ უკანონო ბანდფორმირებებს უერთდებიან დაქირავებულები ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებიდანაც.

რუსი “სამშვიდობების” ცხინვალის სამხედრო ბაზაზე მომუშავე რუსი და ადგილობრივი თანამშრომლები დროებით განთავისუფლებულნი არიან სამსახურებიდან. ადგილობრივი ტელევიზიის თანახმად ქალაქში დაკეტილია მაღაზიები და ოფისები.

ნაშუადღევს, დაახლოებით 16:00 საათისათვის სოფლებიდან ფრანევი, უბიათი და ხეთაგუროვო უკანონო ბანდფორმირებებმა ნაღმტყორცნიდან ცეცხლი გახსნეს. ცეცხლი გაიხსნა სოფლების ერედვის, ფრისის, ანევის, დვანის და ნულის

---

\* აქ და ქვემოთაც მოყვანილია სატელეფონო საუბრების ჩანაწერები. აღნიშნული მასალა სურვილის და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინება მსურველს.

მიმართულებით. ხეთაგუროვო არის სეპარატისტების უმთავრესი სამხედრო ბაზა. შეტევა გრძელდება დაახლოებით 19:00-მდე.

ვითარება წყნარდება ერთი საათით, შეტევა განახლდა 20:00 საათისათვის და გაგრძელდა გვიან შუალამემდე. ქართული სამთავრობო ძალები საკუთარი პოზიციების და სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად ახორციელებენ საპასუხო სროლას. ორივე მხარიდან განხორციელებული ინტენსიური სროლის შედეგად დაჭრილია სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ორი სამხედრო მოსამსახურე. სეპარატისტული რეჟიმის განცხადებით, მათი მხრიდანაც დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. მიუხედავად ამგვარი პროვოკაციული ქმედებებისა, რომელიც მიმართული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის, ქართული პოლიციის და ქართული სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით გადაწყვიტა პროვოკაციაზე ინტენსიური შეტევით არ ეპასუხა.

**7 აგვისტო:** დაახლოებით 00:15 საათზე, უკანონო ბანდფორმირებმა ულ არტილერიით, მათ შორის ნაღმტყორცნებისა და ყუმბარტყორცნების გამოყენებით დაიწყეს სოფლების ერედვის, ფრისის და ვანათის დაბომბვა. ამავდროულად უკანონო ბანდფორმირებები უტყვენ სარაბუკის სიმაღლეს, სადაც განლაგებულნი არიან ქართველი სამშვიდობოები. სარაბუკის შეტევის დროს დაიჭრა სამი ქართველო მშვიდობისმყოფელი. საბრძოლო მოქმედებები ამ მიდამოებში გრძელდება დილის 10:00 საათამდე.

დილის 3:41 და 3.52 საათზე საქართველოს დაზვერვამ მოიპოვა როკის გვირაბთან განლაგებული სეპარატისტთა “სასაზღვრო სამსახურის” თანამშრომლის, გვარად გასიევის ორი სატელეფონო საუბარი. აღნიშნული სატელეფონო საუბრები აჩვენებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრშეტევამდე სულ მცირე 20 საათით ადრე როკის გვირაბის გავლით შემოვიდა რუსეთის შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვანი რაოდენობა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა აღნიშნული ინფორმაცია პრეზიდენტს და მთავრობის სხვა წევრებს (დანართი 17).

დილას, რუსეთის ტელევიზიისათვის (NTV) მიცემულ ინტერვიუში, მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ე.კოკოითიმ განაცხადა, რომ თუ საქართველო არ გაიყვანს საკუთარ ძალებს რეგიონიდან, ის „მათ განადგურებას“ დაიწყებს. საქართველოს შეიარაღებული ძალები, რომლებზეც ე.კოკოითი საუბრობდა, იყვნენ კონფლიქტის ზონაში კანონიერად წარმოდგენილი საქართველოს სამშვიდობო ძალები.

პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი თემურ იაკობაშვილი 7 აგვისტოს სეპარატისტთა წარმომადგენლებთან შეხვედრის მიზნით ჩადის კონფლიქტი ზონაში. ცხინვალში ის გენერალ კულახმეტოვს ხვდება. კულახმეტოვი აცხადებს, რომ ის ვერ უკავშირდება სეპარატისტებს, და რომ რუსული სამშვიდობოები ვერ აჩერებენ სეპარატისტთა შეტევებს. კულახმეტოვი აღიარებს, რომ სეპარატისტები რუსული სამშვიდობო პოსტების მიმდებარე ტერიტორიიდან ისვრიან. ამ შეხვედრის დროს, დაახლოებით 16:00 საათზე, გენერალი კულახმეტოვი სთავაზობს თ.იაკობაშვილს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ცალმხრივად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გააკეთოს განცხადება.

რფ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იური პოპოვი “ვერ ახერხებს” ცხინვალში ჩასვლას. ი.პოპოვის ცხინვალში ჩასვლა მანმადე თ.იაკობაშვილთან იყო შეთანხმებული. ი.პოპოვი აცხადებს, რომ მის ავტომანქანას საბურავი დაეშვა, ხოლო “სათადარიგო საბურავი აგრეთვე დაშვებულია”. როდესაც პოპოვი საბოლოოდ ცხინვალში ჩადის, ის ხვდება ე.კოკოითის. მოგვიანებით ი.პოპოვი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია დაითანხმოს სეპარატისტები თ. იაკობაშვილთან სასწრაფოდ მოლაპარაკების გამართვაზე. (დანართი 10).

დაახლოებით 11:00 საათისთვის სეპარატისტები ანახლებენ შეტევას სოფელ ხეთაგუროვოდან სოფლების ნულის, ავნევის და ვანათის მიმართულებით. დაჭრილია სამი ქართველი მშვიდობისმყოფელი; ქართველი სამართალდამცავები საპასუხო ცეცხლს ხსნიან სოფელ ხეთაგუროვოს მიმართულებით. საპასუხო შეტევის შედეგად მოკლულია უკანონო ბანდფორმირების ორი და დაჭრილია ორი წევრი.

დაახლოებით 14:00 საათზე, იბომბება საქართველოს სამშვიდობოთა პოსტი ავნევიში, სროლა ისევ სოფელ ხეთაგუროვოდან ხორციელდება. სროლის შედეგად იღუპება ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი და რვა მშვიდობიანი მოქალაქე. კანონო ბანდფორმირების წევრთა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომლითაც დასტურდება ქართველი სამხედროების და სამოქალაქო პირების დაღუპვა, ხელმისაწვდომია\*.

სამხედრო მოსამსახურებისა და სამოქალაქო პირების დაღუპვის შემდეგ, დამატებით იმისა, რომ სატელეფონო ჩანაწერების მიხედვით რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები უკვე იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე, დაახლოებით 14:30 საათზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები იღებენ სადაზვერვო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი რაოდენობა საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი და მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრისკენ გადაადგილებისთვის მზადების ბრძანება.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაახლოებით 14:30 საათზე, უკანონო ბანდფორმირების შეტევების შეკავების და რუსეთის შეიარაღებული ძალების ინტერვენციის გაფართოების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით, ახდენენ ტანკების, 122მმ ჰაუბიცების და 203 მმ თვითმავალი საარტილერიო ტექნიკის ჯკონფლიქტის ზონის მიმართულებით მობილიზებას.

დაახლოებით 17:00 საათზე, ცხინვალთან დაბრუნებული სპეციალური წარმომადგენელი იაკობაშვილი ურეკავს მ.კულახმეტოვს, რათა აცნობოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

დაახლოებით 17:10 საათზე, ქართველი მშვიდობისმყოფელები დამაბულობის განელების მიზნით ცალმხრივად წყვეტენ ცეცხლს.

18:40 საათზე სპეციალური წარმომადგენელი თ.იაკობაშვილი ცხინვალის ვიზიტის შედეგებზე მართავს პრესკონფერენციას და აკეთებს განცხადებას საქართველოს ხელისუფლების მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

19:10 საათზე სატელევიზიო მიმართვში პრეზიდენტი მ.სააკაშვილი აკეთებს განცხადებას უკვე ძალაში შესული ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილების შესახებ. პრეზიდენტი მ.სააკაშვილი მოუწოდებს უკანონო ბანდფორმირებებს, პატივი სცენ ამ გადაწყვეტილებას და განაახლონ მოლაპარაკებანი.

დაახლოებით 20:30 საათზე სოფელ ხეთაგუროვოდან, უკანონო ბანდფორმირებების მხრიდან ნაღმტყორცმებით იბომბება სოფელი ავნევი.

სეპარატისტების “უმიშროების საბჭოს თავმჯდომარე” ანატოლი ბარანკევიჩი (რუსეთის შეიარაღებული ძალების სტაჟიანი ოფიცერი, რომელსაც წარსულში ოთხი წლის განმავლობაში ჩეჩნეთში სამხედრო კომისარის პირველი მოადგილის პოსტი ეკავა), უცხადებს ადგილობრივ ტელევიზიას, რომ ცხინვალისკენ „ქართული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად” კახაკთა შეიარაღებული ჯგუფები მოემართებიან.

22:30 საათზე სეპარატისტები ცხინვალიდან და თლიყანის მთიდან ცეცხლს უხსნიან სოფლებს ფრისს და თამარაშენს, მშვიდობიან მოსახლეობას შორის არიან დაჭრილები.

23:30 საათზე სეპარატისტები ინტენსიურ ცეცხლს უხსნიან ცხინვალის გარშემო მდებარე ქართველ სამშვიდობოთა პოზიციებს, მათ შორის თამარაშენს და ქურთას; დანგრეულია ქურთას პოლიციის განყოფილება.

23:30 საათზე საქართველოს ხელისუფლება იღებს სადაზვერვო ინფორმაციას, რომელთა თანახმადაც დამატებით დაახლოებით 150 ერთეული ჯავშანტექნიკა და ავტომანქანა, რომლებშიც რუსი ჯარისკაცები სხედან, რუსეთის მხრიდან უახლოვდება როკის გვირაბს. ღამის 3 სათისათვის და მოგვიანებითაც, სეპარატისტების სატელეფონო საუბრის ჩანაწერები ადასტურებენ იმას, რომ კოლონები გამოდიან როკის გვირაბიდან და მიემართებიან ჯავისაკენ\*.

23:50 საათზე, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შეჭრისა და უკანონო ბანდფორმირებების მიერ სამშვიდობოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ინტენსიური დაბომბვის საპასუხოდ საქართველოს შეიარაღებული ძალები პირველად ერთგებიან სამხედრო მოქმედებებში. შეიარაღებული ძალები იყენებენ ჯავშანტექნიკას, მათ შორის ტანკებს, 122მმ ჰაუბიცებს და 152 მმ თვითმავალ საარტილერიო ტექნიკას–სისტემა „დანას”.

8 აგვისტოს დაახლოებით 00:45 საათზე, საქართველოს შეიარაღებული ძალები ახორციელებენ საარტილერიო იერიშს რუსეთის არმიის ნაწილების მიმართულებით, იმ გზაზე, რომელზეც უკვე მოძრაობს რუსული კოლონა როკის გვირაბიდან სამხრეთის მიმართულებით.

**რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესია : 7 აგვისტოდან დღემდე.**

### **ცხინვალის მიმდებარე ტერიტორია**

8 აგვისტოს, კონფლიქტის ზონაში წინ წაწევის შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალებმა ხუთსაათიანი პერიოდის განმავლობაში კონტროლი მოიპოვეს

ცხინვალის გარშემო მიმდებარე სოფლებზე (წინაგარა, ორჭოსანი, დიდმუხა, მუგუთი, ღრომი, დმენისი და არცევი). ბრძოლების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონისაკენ და ხეთაგუროვოსაკენ მიმავალ ძარის შემოვლით გზაზე დაუპირისპირდნენ მრავალრიცხოვან რუსულ ძალებს და უკანონო ბანდფორმირებებს, რომელთაც გზა გამაგრებული ჰქონდათ თანამედროვე საარტილერიო სისტემით, ჯავშანტრანსპორტებითა და თვითმავალი საარტილერიო სისტემებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა ამ ორივე პოზიციას, ავიაციამ კი მიზანმართული შეტევები აწარმოა გუფთას ხიდზე, რომლის მეშვეობითაც რუსული კოლონები ცხინვალში შესვლას ცდილობდნენ.

### **ცხინვალის გარეუბნები და ცხინვალის შიგნით**

ცხინვალი, რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი, თბილისიდან დაახლოებით 75 კილომეტრით მდებარეობს. სხვადასხვა მონაცემებით, რუსეთის აგრესიამდე ქალაქის მოსახლეობა 7 000 მაცხოვრებელს შეადგენდა. 3-5 აგვისტოს მასიური ევაკუაციის შედეგად ეს რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა.

რამდენიმე შეტევა ქართველი სამშვიდობოების პოზიციებზე ცხინვალის გარეუბნებიდან, განსაკუთრებით კი “ვერხნი გოროდოკიდან” (რუსეთის „სამშვიდობოების“ დისლოკაციის ადგილი, ქალაქის დაუსახლებელი სამხრეთ-დასავლეთის რაიონი) განხორციელდა. ეს იყო ის პირველი პოზიცია უშუალოდ ცხინვალის ახლოს, რომელიც გრადის ავტომატური სისტემით მიზანში ამოიღეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, მას შემდეგ, რას მრავალჯერ გააფრთხილეს რუსი „სამშვიდობოები“, იმის თაობაზე, რომ არ მიეცათ უკანონო ბანდფორმირებებისთვის უფლება მათი პოსტების გამოეყენებინათ შეტევების განსახორციელებლად. ამის შემდეგ, ქართულმა არტილერიამ (ისევე გრადების გამოყენებით) მიზანში ამოიღო სამოქალაქო მოსახლეობის საცხოვრებელი არეალის მიღმა ცხინვალის დასავლეთ ნაწილში არსებული საბრძოლო მასალების საწყობები და საწვავის რეზერვუარები, და, ასევე ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში, სამოქალაქო მოსახლეობის საცხოვრებელი არეალის მიღმა მდებარე სამხედრო ყაზარმები.

დაახლოებით 11:00 საათზე, მას შემდეგ რაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს ცხინვალის გარშემო მდებარე სიმაღლეები, ქალაქში შევიდნენ საქართველოს თავდაცვის და შს სამინისტროს ნაწილები. უკანონო ბანდფორმირებებმა მათ ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ქალაქის ცენტრში მდებარე ადმინისტრაციული შენობის გარშემო განლაგებული პოზიციებიდან. საპასუხოდ, სამთავრობო ძალებმა უკანონო ბანდფორმირებების საცეცხლე წერტილების ჩასახშობად, გამოიყენეს ზუსტი დამიზნების სარტილერიო სისტემა „დანა“.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სამთავრობო ძალებმა ცხინვალში წინ წაიწიეს, რუსულმა ავიაციამ დაიწყო სამთავრობო შენაერთების პოზიციების უწყვეტი დაბომბვ როგორც ცხინვალში, ასევე ცხინვალის გარეთ. ა. რუსული ავიაცია მომდევნო ორი დღის განმავლობაში (10 აგვისტოს საღამომდე) განაგრძობდა ცხინვალის და მისი მიმდებარე ტერიტორიების დაბომბვას.

დაახლოებით 14:00 საათზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალების შენაერთებმა უკანონო ბანდფორმირებებისგან გაათავისფლეს ცხინვალის უდიდესი ნაწილი. 15:00 საათზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალების შენაერთებმა ჰუმანიტარული

კორიდორის უზრუნველყოფის მიზნით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სამსაათიანი მორატორიუმი გამოაცხადეს.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 9 აგვისტოს საღამოს ცხინვალიდან ეტაპობრივი უკანდახევა იწყეს. შენაერთები ცხინვალის სამხრეთ ნაწილში გადაჯგუფდნენ.

იმ ორი დღის განმავლობაში (8 და 9 აგვისტო), როდესაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალების შენაერთები აკონტროლებდნენ მანმადე უკანონო ბანდფორმირებების მიერ დაკავებულ სოფლებს, ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიხედვით ადგილი არ ჰქონია სამოქალაქო მოსახლეობის უფლებების ხელყოფის ფაქტებს. ასევე არ დაფისირებულა ეთნიკური ოსური მოსახლეობის იძულებით გადაადგილების ფაქტები. ერთადერთი სოფელი, რომელსაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა იყო სოფელი ხეთაგუროვო. ეს განაპირობა სოფლის გარშემო უკანონო ბანდფორმირებების სამხედრო აღჭურვილობისა და ძალების კონცენტრაციამ. Human Rights Watch -ის მიხედვით (დანართი 11) მას შემდეგ, რაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალების შენაერთებმა დაიკავეს სოფელი ხეთაგუროვო, ადგილი არ ჰქონია ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ არასათანადო მოპყრობას.

### **რუსეთის აგრესია კონფლიქტის ზონის მიღმა**

#### **ქართველების ეთნიკური წმენდა.**

8 აგვისტოს, 09:45 საათის შემდეგ რუსულმა ავიაციამ დაბომბა მთელი რიგი სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები საქართველოს ტერიტორიაზე, კონფლიქტის ზონის მიღმა, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ათეული სამოქალაქო პირი და დაზიანდა ინფრასტრუქტურა. სამიზნეში მოხვდა:

1. გორი და გორის მიმდებარე სოფლები (მათ შორის სამოქალაქო ინფრასტრუქტურა);
2. მარნეულის აეროდრომი;
3. ვაზიანის აეროდრომი;
4. კოპიტნარის აეროდრომი;
5. ონი;
6. ფოთის პორტი;
7. ბაქო-სუფსის ნავთობსადენი;
8. ანაკლია;
9. ზემო აფხაზეთი/კოდორის ხეობა;
10. თბილისი (საავიაციო ქარხანა და თბილისის აეროპორტის სამოქალაქო რადარი);
11. ხელვაჩაური;
12. შირაქი;

13. სენაკის აეროპორტი და სამხედრო ბაზა

14. კასპი;

15. ხაშურის რაიონის სოფლები

16. ბორჯომის ეროვნული პარკი.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო დამცველმა ჯგუფებმა თავიანთ დოკუმენტებში ასახეს რუსეთის რეგულარული არმიის მიერ სამოქალაქო ობიექტების მიზანში ამოღება.

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვების დროს გამოყენებულ იქნა SS-26 „ისკანდერი“. ეს ტაქტიკური რაკეტა გამოყენებულ იქნა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის წინააღმდეგ. ტაქტიკური რაკეტები SS-21 „ტორკა-უ“ რუსეთმა გამოიყენა ფოთსა და გორში. გორის მიმდებარე სოფლებში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს „ურაგანის“ ტიპის რაკეტები. კასეტური ბომბები გამოყენებულ იქნა უმთავრესად გორში და მიმდებარე სოფლებში, მათ შორის რუისსა და შინდისში. (დანართი 13);

10 აგვისტოს, ოჩამჩირეში მოხდა რუსეთის საზღვაო დესანტის გადმოსხმა, რომელმაც განახორციელა, არაპროვოცირებული, ინტენსიური საარტილერიო და საჰაერო შეტევა კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის წინააღმდეგ. ამ მომენტამდე აფხაზეთში ადგილი არ ჰქონია არანაირ დაპირისპირებას. შეტევა დაიწყო მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს შეიარაღებულმა დანაყოფებმა დისლოკაციის ადგილი – სენაკის ბაზა დატოვეს და აღმოსავლეთ საქართველოსაკენ გადაინაცვლეს (9 აგვისტო).

ამავე დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ ზუგდიდში, დასავლეთ საქართველო.

12 აგვისტოს, რუსეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ ფოთის სტრატეგიულ პორტში და ზუგდიდში დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები.

ცხინვალის საპყრობილეში მძევლად ჰყავდათ აყვანილი 150-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. (დანართი 14).

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ თბილისის მიმართულებით უკანდახვევის შემდეგ რუსეთის შეიარაღებული ძალები და უკანონო ბანდფორმირებები ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებდნენ კონფლიქტის ზონასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, სახლების გადაწვის, ძარცვის ადამიანების გატაცების, ცემის, ჩათვლით. კონფლიქტის ზონის შიგნით მთლიანად გადამწვარი და დაზარალებულია სოფლები ერედვი, ავნევი, ნული, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, კეხვი და დისევი, რასაც ქართველების ეთნიკური წმენდა მოჰყვა შედეგად. აღნიშნულ ქმედებებს ადგილი ჰქონდა სომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ. ყოველივე აღნიშნული დასტურდება ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ მოხსენებებში. (დანართი 7 და 16)

ამჟამად რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები აგრძელებენ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას. (დანართი 15)

